განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

28-29 ოქტომბერი, 2019
2 დეკემბერი, 2019

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**206169304**
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა**
განათლების საფეხური	**მაგისტრატურა - მეორე საფეხური**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი - 0413**
სწავლების ენა	**ქართული**
კრედიტების რაოდენობა	**240**
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	**აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის #203 გადაწყვეტილებით**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ზარნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ხეცურიანი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია მორგოშია, შპს ,,მარჯი“, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია: ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება და მისი აღჭურვა აუცილებელი ცოდნით, უნარებით და კვალიფიკაციით ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით; დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის საჭირო უნარების განვითარება; მომზადება პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის ბიზნესის სფეროში. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს და გათვლილია 4 სემესტრზე (2 აკადემიური წელი). პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შენდეგნაირად:

- სასწავლო კომპონენტი - 90 კრედიტი (აქედან, 70 სავალდებულოა და 20 არჩევითი კრედიტი);
- პრაქტიკულ კომპონენტი - 10 კრედიტი:
- კვლევით კომპონენტი - 20 კრედიტი:

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური B2 დონე) და გასაუბრებას სპეციალობაში. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 აკადემიური თანამდებობის მქონე პირი და 12 მოწვეული სპეციალისტი. ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ამჟამად აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობაა 40. სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალი შედგება: 8 პროფესორის (აფილირებული), 4 ასოცირებულ პროფესორის (აფილირებული), 1 ასისტენტ პროფესორის (აფილირებული) და 12 მოწვეულ ლექტორის და 9 დამხმარე პერსონალისაგან.

ამჟამად, პროგრამაზე ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე 40 სტუდენტი. პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი 95 %-ია, ხოლო სწავლების შემდეგ საფეხურზე გაგრძელების მაჩვენებელი 12%.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მ.წ. 28-29 ოქტომბერს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, კერძოდ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას (ხარისხის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი), პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა სასწავლო ელექტრონული პორტალი.

პროგრამის სტუდენტები მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში, იბეჭდება მათი ნაშრომები, ჩართულები არიან სხვადასხვა ტიპის კურიკულუმის გარე აქტივობებში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, სადაც 1.1 და 1.2 კომპონენტები შეფასდა, როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან, ხოლო მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 2.2 და 2.6 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია პრაქტიკის სილაბუსში გასწორდეს პრაქტიკის კომპონენტის სტატუსი ანუ ,,არჩევითის“ ნაცვლად მიეთითოს ,,სავალდებულო“ და დაზუსტდეს ასევე პრაქტიკის წინაპირობა, რადგანაც სილაბუსში წინაპირობად მითითებული ჩანაწერი ,,სფეროს თეორიული ცოდნა“ არ იძლევა კონკრეტული სასწავლო კურსების იდენტიფიცირების შესაძლებლობას;
  - რეკომენდებულია პროგრამის კურუკულუმში დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წინაპირობა უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულების მიხედვით. ასევე, დაკორექტირდეს სამაგისტრო პროგრამაში მითითებული ჩანაწერი ,,სამაგისტრო ნაშრომი ფასდება სასწავლო კურსის შეფასების სისტემით“ და მოვიდეს შესაბამისობაში ფაკულტეტზე არსებულ მაგისტრატურის დებულებაში განსაზღვრულ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესთან;
  - რეკომენდებულია ,,აკადემიური წერის“ სილაბუსში მითითებული კურსის სტატუსი ,,არჩევითი“ შეიცვალოს ,,სავალდებულო“-თი;
  - რეკომენდებულია პროგრამაში ბიზნესის კვლევის მეთოდები შეთავაზებული იქნეს დამოუკიდებელი კურსის სახით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსებში წარმოდგენილია კვლევის მეთოდების გარკვეული საკითხები;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია პროგრამაში სიტყვა ,,კონცენტრაცია“ მისი გაგების სხვადასხვა ინტერპრეტაციების თავიდან ასაცილებლად შეიცვალოს სიტყვა ,,მიმართულებით“;
  - სასურველია დაწესებულების მხრიდან გააქტიურდეს მუშაობა პროგრამის სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გასაზრდელად;
  - სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მეტი ყურადღება დაეთმოს მაგისტრატურის დებულებით გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური დეტალების დაცვას;
  - სასურველია დაწესებულების მხრიდან გარე შეფასების მექანიზმად გარდა აკრედიტაციის პროცესისა გამოყენებული იქნეს მაგალითად, დამოუკიდებელი გარე ექსპერტული შეფასება;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ბიზნესის ადმინისტრირების საბმაგისტრო პროგრამას პირველი აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის #203 გადაწყვეტილებით. პირველი აკრედიტაციის შემდეგ პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ განახლდა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შენადგენლობა, გაძლიერდა კონკრეტული დიციპლინებით პროგრამის სტურუქტურაში კონცენტრაციები, განახლდა გამოყენებული ლიტერატურა და კანონმდებლობის მოთხოვნების ცვლილების შესაბამისად შეიცვალა გამოყენებული შეფასების სისტემა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება და მისი აღჭურვა აუცილებელი ცოდნით, უნარებით და კვალიფიკაციით ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით; დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის საჭირო უნარების განვითარება; მომზადება პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის ბიზნესის სფეროში. ხოლო უნივერსიტეტის მისია არის ,,მოწინავე სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო-პრაქტიკულ მოდელებზე ბაზირებული კვლევის წარმოება და ინოვაციური განათლების მიცემა, საყოველთაოდ აღიარებული მაღალი სოციალური და მორალური პასუხისმგებლობის მქონე კადრების წარმოება“. შესაბამისად თუ მოვახდენთ პროგრამის მიზნის და უნივერსიტეტის მისიის შედარებას, ცხადია რომ სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ქართულ–ამერიკული უნივერსიტეტის მისიას, რადგანაც ითვალისწინებს ისეთ დეტალებს როგორიცაა, მაგალითად: აღიზარდოს მაღალი აკადემიური და ეთიკური სტანდარტების შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ეფექტურად იმუშავებს ბიზნესის სფეროში და უზრუნველყოფს თანამედროვე მეთოდების დანერგვას და შეიქმნას პირობები იმისათვის, რომ სტუდენტებმა გამოავლინონ თავის ნიჭისა და შესაძლებლობების მაქსიმუმი და მიღებული ცოდნის საფუძველზე შეიტანონ წვლილი თავიანთი სფეროს განვითარებაში. ამასთან, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს დაწესებულების მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს და შესაბამისად ასახავს იმ თანამედროვე ტენდენცებს რომელსაც ადგილი აქვს შრომის ბაზარზე. შესაბამისად, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას მისი მიზნებით და პროგრამის კურსდამთავრებულების კომპეტენციებით თავისი წვილი შეაქვს როგორც დარგის, ისე საზოგადოების განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ▪ უნივერსიტეტის მისია; ▪ შრომის ბაზრის ანალიზი;

- უნივერსიტეტის ვებ გვერდი - gau.ge;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებულია და უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამისი ცოდნის, უნარების გენერირებას. პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილია ბიზნესის ადმინისტრირების პროცესთან დაკავშირებული ის ცოდნა და უნარები რომლებსაც შეიძენენ პროგრამის კურსდამთავრებულები, კერძოდ მათ ეცოდინებათ ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული ფუნდამენტური კონცეფციები; შეძლებენ ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული საკითხების კრიტიკულად ახსნას; ბიზნესის კვლევის აპრობირებული და უახლესი მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად განახორციელონ კვლევა ბიზნეს გარემოში მიმდინარე კონკრეტული მოვლენების გასაანალიზებლად; ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზისა და შეფასების საფუძველზე შეიმუშაონ განსხვავებული ბიზნესის ადმინისტრირების სტრატეგიები კონკრეტული ბიზნეს სიტუაციებისათვის და ა.შ.

დაწესებულებაში პერმანენტულად ხდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, კერძოდ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი როგორც შეფასების პროცესი, ისე ყველა მეთოდი, ინსტრუმენტი და სამიზნე

ნიშნული/რუბრიკა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება შეფასება. შესაბამისად უნივერსიტეტში პერმანენტულად ხორციელდება შრომის ბაზრის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების კმაყოფილების დონის კვლევა, ხოლო აღნიშნული კვლევის შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, დგინდება პროგრამის სამიზნე ნიშნულები და გამოითვლება სავალდებულო კურსების შეწონილი ჯამი. თითოეული კურსის შესაფასებლად გამოიყენება სტუდენტების საშუალო შეფასება ამ კურსში, თითოეული სამიზნე ნიშნული ფასდება 0-დან 5-დე.

ამ მექანიზმის საფუძველზე ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება დაიგეგმა და განხორციელდა 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოს და მოხდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შედეგების ანალიზი და ჩამოყალიბდა გარკვეული რეკომენდაციები. რომელიც სრულად აისახა მოდიფიცირებულ პროგრამაში და რეგულაციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალები;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზი;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური) და გასაუბრებას სპეციალობაში. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა შეავსოს უცხო ენის (ინგლისური) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი. პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან პირველი საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს უცხო ენაზე (ინგლისური) ტესტირებისგან თავისუფლდება. ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამაზე მიღების გამოცხადების და კონკურსის შესახებ იდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, აგრეთვე ეგზავნება შესაბამის სამსახურებს. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა და ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის (ფაკულტეტის) მაგისტრატურის დებულება ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების სამართლიან, საჯარო და ხელმისაწვდომ წინაპირობებს და პროცედურებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ▪ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი - gau.ge;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს და იყოფა შემდეგ კომპონენტებად: სასწავლო, პრაქტიკული, კვლევითი და თავისუფალი. სასწავლო კომპონენტი არის სასწავლო ელემენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს მაგისტრანტის დარგობრივ დახელოვნებას, ხელს უწყობს მას და ამზადებს პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად. პროგრამა მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების სასწავლო კურსებს მარკეტინგის, მენეჯმენტის და ფინანსების მიმართულებით, რაც იძლევა საშუალებას, პროგრამის კურსდამთავრებულები გავიდნენ უმაღლესი განათლების მეორე საფეხურით განსაზღვრულ ბიზნესის ადმინისტრირების შესაბამის სწავლის

შედეგებზე. შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაცია ,,ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი“ შესაბამისობაშია კვალიფიკაციის ჩარჩოთი განსაზღვრული აღნიშნული მიმართულების დეტალური სფეროს შინაარსთან. პროგრამა სტუდენტებს თავაზობს კონკრეტული მიმართულებებიდან (მენეჯმენტი, მარკეტინგი და ფინანსები) ცალკეული სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობას. სასწავლო კომპონენტში მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 90 კრედიტი - აქედან, 70 სავალდებულოა და 20 არჩევითი კრედიტი. ამასთან, შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსებიდან მაგისტრანტმა აუცილებლად უნდა დააგროვოს ნებისმიერი მიმართულებიდან 15 კრედიტი, ხოლო დანარჩენი 10 კრედიტი მას შეუძლია დააგროვოს: იგივე შეთავაზებული არჩევით კურსებიდან; ბიზნესის სკოლაში ან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში მიმართულებები მოხსენიებულია კონცენტრაციებად, თუმცა პროგრამის შინაარსის გაცნობისა და პროგრამის ხელმზღვანელებთან ინტერვიუებით დაზუსტებულია, რომ პროგრამაში არსებული მენეჯმენტი, მარკეტინგის და ფინანსების სასწავლო კურსების თავმოყრა არ არის კონცენტრაციები და ისინი უბრალოდ უადვილებენ პროგრამის სტუდენტებს კონკრეტული მიმართულებით საჭირო სასწავლო კურსების არჩევას. გამომდინარე აქედან მიგვაჩნია, რომ სასურველია პროგრამაში სიტყვა ,,კონცენტრაცია“ მისი გაგების სხვადასხვა ინტერპრეტაციების თავიდან ასაცილებლად შეიცვალოს სიტყვა ,,მიმართულებით“. პრაქტიკულ კომპონენტში მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 10 კრედიტი. სტუდენტმა პრაქტიკა უნდა გაიაროს, თუ არ არის დასაქმებული და მას შეუძლია გაიაროს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა იმ დაწესებულებებში, რომლებთანაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული უნივერსიტეტსა და ბიზნესის სკოლას. გარდა ამისა, პროგრამაში სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტებს უწევთ, როგორც როგორც პროექტების პრეზენტაცია, ასევე სხვადასხვა შემთხვევების ანალიზი (Case study), სიმულაციური თამაშები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) და ა.შ. გამოყენება, რაც ცხადია, რომ ხელს უწყობს როგორც პრაქტიკული, ისე ნაწილობრივ კვლევითი უნარების განვითარებას. გარდა ამისა კვლევით კომპონენტში მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 20 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია, რაც ჩანს პროგრამის სასწავლო, პრაქტიკული და თავისუფალი კომპონენტების თანაფარდობასა და თანმიმდევრობაში, მათი შინაარსი და სტრუქტურა ადექვატურია მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნების და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რაც თავის მხრივ იკვეთება პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლებში. ამასთან, პროგრამის მიმართ გაგვაჩნია შემდეგი მოსაზრებები, კერძოდ საჭიროა პრაქტიკის სილაბუსში გასწორდეს პრაქტიკის კომპონენტის სტატუსი ანუ ,,არჩევითის“ ნაცვლად

მიეთითოს ,,სავალდებულო“ და დაზუსტდეს ასევე პრაქტიკის წინაპირობა, რადგანაც სილაბუსში წინაპირობად მითითებული ჩანაწერი ,,სფეროს თეორიული ცოდნა“ რაც არ იძლევა კონკრეტული სასწავლო კურსების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. საჭიროა პროგრამის კურუკულუმში დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წინაპირობა უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულების მიხედვით. საჭიროა ,,აკადემიური წერის“ სილაბუსში მითითებული კურსის სტატუსი ,,არჩევითი“ შეიცვალოს ,,სავალდებულო“-თი. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსებში წარმოდგენილია კვლევის მეთოდების გარკვეული საკითხები, რეკომენდებულია პროგრამაში ბიზნესის კვლევის მეთოდები შეთავაზებული იქნეს დამოუკიდებელი კურსის სახით;
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ▪ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი - gau.ge;
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია პრაქტიკის სილაბუსში გასწორდეს პრაქტიკის კომპონენტის სტატუსი ანუ ,,არჩევითის“ ნაცვლად მიეთითოს ,,სავალდებულო“ და დაზუსტდეს ასევე პრაქტიკის წინაპირობა, რადგანაც სილაბუსში წინაპირობად მითითებული ჩანაწერი ,,სფეროს თეორიული ცოდნა“ რაც არ იძლევა კონკრეტული სასწავლო კურსების იდენტიფიცირების შესაძლებლობას; ▪ რეკომენდებულია პროგრამის კურუკულუმში დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წინაპირობა უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულების მიხედვით; ▪ რეკომენდებულია ,,აკადემიური წერის“ სილაბუსში მითითებული კურსის სტატუსი ,,არჩევითი“ შეიცვალოს ,,სავალდებულო“-თი; ▪ რეკომენდებულია პროგრამაში ბიზნესის კვლევის მეთოდები შეთავაზებული იქნეს დამოუკიდებელი კურსის სახით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსებში წარმოდგენილია კვლევის მეთოდების გარკვეული საკითხები;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია პროგრამაში სიტყვა ,,კონცენტრაცია“ მისი გაგების სხვადასხვა ინტერპრეტაციების თავიდან ასაცილებლად შეიცვალოს სიტყვა ,,მიმართულებით“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგეგები შესაბამისობაშია პროგრამაში არსებულ სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკის სახით. ასევე, თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიერ რანჟირებულ კვალიფიკაციის მეშვიდე დონეს. ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია შესაბამისი სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგში არებულ სიახლეებზე და შესაბამის მიღწევებზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, უნივერსიტეტი პერმანენტულად ანახლებს ბიბლიოთეკაში წიგნად ფონდს და ელექტრონულ ბაზებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ▪ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ▪ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურუკულუმით განსაზღვრულია როგორც პრაქტიკული ისე კვლევითი უნარების გამომუშავებისათვის საჭირო კომპონენტები, კერძოდ პროგრამა სტუდენტებს თავაზობს პრაქტიკას 10 კრედიტის ფარგლებში. პრაქტიკას უნივერსიტეტიდან ხელმღვანელობს ფაკულტეტის მიერ გამოყოფილი პირი, ხოლო ობიექტზე პრაქტიკის კურატორი. უნივერსიტეტს აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებული ბევრ კომპანიასთან (კრედო ბანკი, ფიქეიეფ იუბისი სერვისები, საქართველოს ეროვნული ბანკი, შპს ,,იუჯითი", სს ,,თიბისი ლიზინგი", სადაზღვევო კომპანია ,,აისი ჯგუფი", საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, დასაქმების სააგენტო ,,ეიჩარი" და ა.შ.), სადაც თუ პროგრამის სტუდენტი არ მუშაობს პროფილის შესაბამისად უნდა გაიაროს პრაქტიკა. გარდა ამისა, სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სწავლების მეთოდები, კერძოდ გამოყენებულია ქეისების განხილვის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), პროექტების მომზადების, როლური და სიტუაციური თამაშები და ა.შ მეთოდები. ასევე, უნივერსიტეტში არის შესაძლებლობა გამოყენებული იქნეს პრაქტიკული საქმიანობის კუთხით არსებული სპეციალური ლაბორატორიები, მაგალითად ფუნქციონირებს ,,ჯეოლაბი", რომელსაც იყენებენ სტუდენტები. სამაგისტრო პროგრამა კვლევითი უნარების განვითარების კუთხით პროგრამის სტუდენტებს სთავაზობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას 20 კრედიტის მოცულობით. ტრანსფერული უნარების განვითარებას პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის უზრუნველყოს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლა-სწავლების ისეთი მეთოდები როგორიცაა: როლური და სიტუაციური თამაშები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქმედებაზე

ორიენტირებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი და ა.შ. რაც საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს მოახდინონ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის ტრანსფერი მათვის საჭირო სიტუაციებში. უნივერსიტეტში მოქმედებს ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულება, სადაც გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი. გარდა ამისა, უნივერსიტეტი პროგრამის სტუდენტებს სთავაზობს ყოველწლიურ სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებს, სტაჟირებებს სხვადასხვა კომპანიებში და ხელს უწყობს მათ ჩართვას სხვადასხვა ღონისძიებებში, მათ შორის კურუკულუმისგარეთ აქტივობებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების სანაგისტრო პროგრამა; ▪ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღებაზე და შეესაბამება სამაგისტრო სწავლების საფეხურს. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში დაწვრილებით არის მოცემული სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება კურსის სპეციფიკას, შინაარსს, სწავლის შედეგებს. პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია შემდეგი სწავლა-სწავლების მეთოდები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), პროექტების მომზადების, როლური და სიტუაციური თამაშები, შემთხვევის ანალიზი (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming) და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ▪ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის და შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად. სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კურსში კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში მინიმალური ზღვრების გათვალისწინებით. სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს დასკვნით შეფასებას - 100 ქულას. პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტებს, რომელიც აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, ესე, პრეზენტაცია და სხვა). შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით არის გაწერილი სასწავლო კურსის სილაბუსში. სტუდენტებს გააჩნიათ გასაჩივრების მექანიზმები, რომლითაც ეძლევათ საშუალება მიღებული შეფასება საჭიროების შეთხვევაში გაასაჩივრონ და დარწმუნდნენ შეფასების სისწორეში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელიც სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებებით დააგროვებს მინიმუმ 25 ქულას, ხოლო უშუალოდ დასკვნითი გამოცდის მინიმალური სავალდებულო ქულაა 16. სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება სწავლების პროცესში სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შემენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. მასთან, სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად დასკვნითი შეფასებით. თემის დაცვა წარმოებს კომისიის სხდომაზე საჯაროდ. ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. თემის შეფასებისას გამოყენებული მეთოდები და კრიტერიუმები დაწვრილებით არის გაწერილი მაგისტრატურის დებულებით. თუმცა, პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომის აღწერისას მითითებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ,,სასწავლო კურსის შეფასების სისტემით“, რაც წინააღგმდეგობაშია დებულებით განსაზღვრულ შეფასების ერთეჯრად წესთან, რადგანაც სასწავლო კურსების შეფასებისას სავალდებულოა შუალედური და დასკვნითი შეფასებები. შესაბამისად, რეკომენდებულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში მითითებული ჩანაწერი დაკორექტორდეს და მოვიდეს შესაბამისობაში ფაკულტეტზე არსებულ მაგისტრატურის დებულებაში განსაზღვრულ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;

▪ სტუდენტთა ელექტრონული პორტალი; ▪ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალა; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდებულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში მითითებული ჩანაწერი ,,სამაგისტრო ნაშრომის ფასდება სასაწვლო კურსის შეფასების სისტემით" დაკორექტორდეს და მოვიდეს შესაბამისობაში ფაკულტეტზე არსებულ მაგისტრატურის დებულებაში განსაზღვრულ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესთან;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად, ქართულ- ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენთებთან, კურსდამთავრებულებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით ინფორმაციას იღებენ ადმინისტრაციისაგან. უნივერსიტეტს აქვს შექმნილი ელექტრონული პლატფორმა და ასევე ელ-ფოსტის საშუალებით სტუდენტებს ყოველდღიურად მისდით ახალი ინფორმაცია, მაგალითად საჯარო ლექციების, ტრენინგების, გაცვლითი თუ მოხალისეობრივი პროექტების შესახებ. ადმინისტრაციისათვის მნიშვნელოვანია სტუდენტებთან უკუკავშირი. ადმინისტრაციის წევრები ხვდებიან სტუდენტებს და განიხილავენ უნივერსიტეტში არსებულ რეალობას. ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმებას. ამ კუთხით, უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, რომლის ფარგლებშიც იწვევს წარმომადგენლებს კერძო თუ საჯარო სექტორიდან, საშუალებას აძლევს სტუდენტს ჰქონდეს უშუალო შეხება პოტენციურ დამსაქმებლებთან. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ასევე საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რომელიც კონსულტაციას უწევს სტუდენტებს უცხოეთის უნივერსიტეტში მობილობას, გაცვლით პროგრამებსა და სხვა საერთაშორისო აქტივობებთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; ▪ სტუდენტთა ელექტრონული პორტალი; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი - gau.ge;.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია დაწესებულების მხრიდან გააქტიურდეს მუშაობა პროგრამის სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გასაზრდელად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა ხორციელდება კვალიფიციური პერსონალის მიერ. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბიზნესის სკოლის (ფაკულტეტის) პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან სკოლის (ფაკულტეტის) საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან/და შესაბამისი სამეცნიერო/პრაქტიკული გამოცდილება. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი დახმარებას უწევს მაგისტრანტს კვლევითი კომპონენტის შესრულებაში. ამ მიზნით ახორციელებს სტუდენტთან რეგულარულ შეხვედრა-კონსულტაციებს შემდეგ აქტუალურ საკითხებზე: - ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შემუშავება; - კვლევის დიზაინის შერჩევა; - სამეცნიერო ლიტერატურაზე, ელექტრონული ბაზებზე, ასევე სხვა რესურსებზე წვდომა; სამაგისტრო ნაშრომების კვლევითი თემების შერჩევისას გაითვალისწინება მაგისტრანტების ინტერესები, კერძოდ მათი სამუშაო გამოცდილება და ინტერესის სფერო. ვიზიტის პროცესში გადამოწმებული იქნა სამაგისტრო ნაშრომები, რომლებიც არის კვლევითი ხასიათის და შეესაბამება სამაგისტრო დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ნაკლები ყურადღება ქონდა დათმობილი სამაგისტრო ნაშრომის დებულებით განსაზღვრულ ტექნიკურ დეტალებს, მაგალითად ნაშრომის სტრუქტურის მოცემულ თანმიმდევრობას და ზოგიერთი

კომპონენტის აღწერას. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ კარგი იქნება თუ ამ ტიპის დეტალებზეც იქნება მეტი ყურადღება გამახვილებული სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას. გარდა ამისა, სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას სტუდენტები იყენებენ უნივერსტეტში არსებულ სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებს და აქვთ შესაძლებლობა კვლევის პროცესში მიიღონ საჭირო კონსულტაციები თემის ხელმძღვანელებისაგან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სკოლის მაგისტრატურის დებულება; ▪ ხელმძღვანელთა პირადი საქმეები; ▪ სამაგისტრო ნაშრომები; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის კურსდამთავრებულებთან და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მეტი ყურადღება დაეთმოს მაგისტრატურის დებულებით გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური დეტალების დაცვას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამა ხორციელდება **აფილირებული** აკადემიური პერსონალის და სათანადო კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორების მიერ, რომელთა სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის გამოცდილება დასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმეებით. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა განსაზღვრულია უნივერსიტეტში შემუშავებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეოდოლოგიის მიხედვით ამ მეთოდოლოგიას შეესაბამება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა - პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 აკადემიური თანამდებობის მქონე პირი და 12 მოწვეული სპეციალისტი. ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ამჟამად აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობაა 40. სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალი შედგება: 8 პროფესორის (აფილირებული), 4 ასოცირებულ პროფესორის (აფილირებული), 1 ასისტენტ პროფესორის (აფილირებული) და 12 მოწვეულ ლექტორის და 9 დამხმარე პერსონალისაგან. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე, აღსანიშნავია აკადემიური პერსონალის დენადობის დაბალი მაჩვენებლები, რომლებიც ბოლო 5 წლის განმავლობაში შემდეგი თანაფარდობითაა წარმოდგენილი: 3 - წასული აკადემიური პერსონალის რაოდენობა. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურებულია პროგრამის პროფილის შესაბამისი პროფესიული

გამოცდილებით, აკადემიური ხარისხით, სამეცნიერო ნაშრომებით და ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით, რომელთა რაოდენობრივი მაჩვენებლები მოცემულია თვითშეფასების ანგარიშში ბოლო 5 წლის მანძილზე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერმანენტულად მონაწილეობს საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში, მათი ავტორობით ქვეყნდება სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები ადგილობრივ თუ საერთაშორისო გამოცემებში ქართულ და უცხოურ ენებზე. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა (თანაფარდობით 13/12) და მათი დატვირთვის სქემა (აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ 40 ბალიანი სისტემით) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობისა და სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელობს დიდი გამოცდილებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის სტუდენტები სისტემატურ კონსულტაციებს იღებენ და საორგანიზაციო საკითხებში მათ ეხმარებათ სკოლის დეკანატი და პროგრამის აკადემიური მენეჯერი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სათანადო კვალიფიკაციისა და რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ▪ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ▪ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ▪ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ფუნქციები და პირადი საქმეები; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ▪ ვებ-გვერდი: https://eeu.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტში რეგულარულად ხორციელდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება, რომლის მიზანი - ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში. მექანიზმი საშუალებას აძლევს უნივერსიტეტის პერსონალს, შეიმუშაოს უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ინდივიდუალური მიზნები და ამოცანები, აგრეთვე უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ თანამშრომლების საქმიანობის რეგულარულ შეფასებას. უნივერსიტეტს შემუშავებული პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა, რის შედეგებსაც აქტიურად იყენებს მათი პროფესიული განვითარებისთვის. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამაზე, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები მოიცავს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას. მასში გამოყენებულია შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მონაცემთა აღრიცხვა აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების კითხვარი, სტუდენტთა გამოკითხვები. ამ შეფასებების შედეგების საფუძველზე ხორციელდება პერსონალის დაწინაურება და წახალისება. უნივერსიტეტში სისტემატიურად იგეგმება და ტარდება კონფერენციები პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები. უნივერსიტეტი დაინტერესებულ პირებს თავაზობს მოკლევადიან კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ პროექტების მართვის, ფინანსური მენეჯმენტის, MPM - საწარმოო პროცესების მართვის და ა.შ. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სამეცნიერო სტატიების, მონოგრაფიებისა და

სახელმძღვანელოების გამოცემაში. სთავაზობს მათ სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით სტაჟირებას საზღვარგარეთ, მაგალითად უნივერსტეტი ჩართულია ერასმუსის პროგრამაში და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ▪ პერსონალის შეფასების მექანიზმები; ▪ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ▪ ვებ-გვერდი: https://eeu.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტისათვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით

აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახები. სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია შემდეგი საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები: EBSCO HOST; Cambridge Journals Online; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books და ა.შ. სასწავლო კორპუსში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა, უზრუნველყოფილია ინტერნეტთან თავისუფალი წვდომა, დაცულია უსაფრთხოების ნორმები, შენობა აღჭურვილია კამერებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერება; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ▪ ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა წარმოებს როგორც სკოლის (ფაკულტეტის), ისე უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის მხარდაჭერის პერიოდული და ერთჯერადი წყაროები. ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯების შემდეგი მუხლები: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება, კვლევითი და ინტერნაციონალიზაციის ხარჯი, სტუდენტების კულტურულ-შემოქმედებითი ხარჯები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების და სასწავლო პროცესების ოპერირების ხარჯები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სკოლის ბიუჯეტი; ▪ ინტერვიუები ფაკულტეტის და პროგრამის ადმინისტრაციასთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც თავისი ფუნქციებით უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მისიის და მიზნების მიღწევას. ის რეგულარულად ახორციელებს სამაგისტრო პროგრამის ხარისხის შეფასებას, ატარებს ინტერვიუებს დაინტერესებულ მხარეებთან, სწავლობს ბაზარს, იკვლევს პროგრამის განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებს და ახორციელებს მათ იმპლემენტაციას პროგრამაში. აღსანიშნავია დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა სამაგისტრო პროგრამის სრულყოფის პროცესში. ინტერვიუების დროს გამოვლინდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერმანენტული კონსულტაციები დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და დარგის წამყვან სპეციალისტებთან. ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში მოქმედებს კარიერის სამსახური და განვითარების სამსახური, რომლებიც ასევე არიან ჩართულები სამაგისტრო პროგრამაში მისი სრულყოფის მიზნით. სამაგისტრო პროგრამის და/ან ცვლილებების შეფასება ხორციელდება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მაჩვენებლებით. უნივერსიტეტში დანერგილია თვითშეფასების მექანიზმი, რომლის მიზანია პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრა და განვითარება. გამოკითხვის შედეგების და ჩატარებული შემოწმება-შეფასების ანალიზის საფუძველზე ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გამოაქვს დასკვნა აღმოჩენილი ხარვეზების ან სასწავლო პროცესის სუსტი მხარეების შესახებ და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების პროცესში აქტიურად არიან ჩართულები აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები, მაგ., კარიერის სამსახური, განვითარების სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ბიბლიოთეკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების მექანიზმი; ▪ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალა; ▪ პროგრამის განვითარების კომისიის ოქმები;

- თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალა;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;
- ვებ-გვერდი: https://eeu.edu.ge/

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი გარე შეფასების მექანიზმად იყენებს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის მექანიზმებს. 2014 წელს განხორციელდა აღნიშნული პროგრამის აკრედიტაცია, შესაბამისად პროგრამის გარე შეფასების პროცესში უნივერსიტეტს პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით არსებითი რეკომენდაციები არ მიუღია, თუმცა პროგრამის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულია გარკვეული ცვლილებები, კერძოდ შეიცვალა პროგრამაში ჩართული რამდენიმე აკადემიურ პერსონალი, პროგრამას ადემატა ახალი აკადემიური პერსონალი, განახლდა გამოყენებული ლიტერატურა, პროგრამის კონცენტრაციებს დაემატა არჩევითი კურსები და შეიცვალა პროგრამაში გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების წესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 7 ნოემბრის სხდომის ოქმი;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია დაწესებულების მხრიდან გარე შეფასების მექანიზმად გარდა აკრედიტაციის პროცესისა გამოყენებული იქნეს მაგალითად, დამოუკიდებელი გარე ექსპერტული შეფასება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელთა შედეგების შესწავლა-ანალიზი-გამოყენება შემდგომში ხდება სასწავლო პროცესის ხარისხის და პროგრამის სრულყოფისათვის. ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სხვადასხვა კითხვარები და ანკეტები აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების/კურსდამთავრებულების, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის გამოსაკითხად. ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი და მის განხორციელებაში ჩართული მხარეების გამოკითხვა და შედეგების ანალიზი პროგრამის გასაუმჯობესების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ▪ პროგრამის თვითშეფასების მექანიზმი;

▪ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალა; ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ▪ ვებ-გვერდი: https://eeu.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ვასილ კიკუტაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

ნინო ზარნაძე

ანი ხეცურიანი

მაია მორგოშია